№2391 2015 წლის 9 ნოემბერი ქ. თბილისი

შპს „სუფთა წყალზე“ გაცემულ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიაში ცვლილების შეტანის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 7^1 მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების საფუძველზე:

1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს მიეცეს თანხმობა, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე, შეიტანოს ცვლილება შპს „სუფთა წყალზე“ (ს/ნ: 205150655) გაცემულ სასარგებლო წიაღისეულის (მიწისქვეშა მტკნარი წყალი) მოპოვების №1002800 ლიცენზიაში და მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის ოდენობა განსაზღვროს დღე-ღამეში 16 კუბური მეტრის (ჩამოსასხმელი) მოცულობით.

2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის გაზრდილ ოდენობაზე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხადოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად

დაანგარიშებული თანხა - 56 097 (ორმოცდათექვსმეტი ათას ოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარი, ლიცენზიაში ცვლილების შეტანიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**